ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქიმიური ბიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობას და სხვა საკითხებს.

2. ქიმიური ბიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დებულებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, თანხმობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ინსტიტუტის მისიაა:

   ა) მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოლოგიური ქიმიის, ნეირობიოლოგიის ბიოტექნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა;

   ბ) საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის პოპულარიზაცია მსოფლიოში მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოლოგიური ქიმიის, ნეირობიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის დარგებში;

   გ) საერთაშორისო გამოცდილების ღრმად შესწავლა და მისი დანერგვა საქართველოში;

   დ) სამეცნიერო ლიტერატურის, თარგმანების, ქრესტომატიების შექმნა;

   ვ) მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოლოგიური ქიმიის, ნეირობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის გამოყენებითი ფუნქციების დანერგვა ქვეყნის განვითარებაში.

2. ინსტიტუტის თვალთახედვა:

   ა) გლობალიზაციის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მოლეკულურ- ბიოლოგიური და ბიოტექნოლოგიური პროცესების წარმართვას, რისთვისაც აუცილებელია თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვა საქართველოში;

ბ) ინსტიტუტმა უნდა შექმნას სათანადო პირობები, რათა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავოს ცენტრალური ადგილი ბიოლოგიურ უმაღლეს განათლებაში როგორც რეგიონში, ასევე სამეზობლო სივრცეში;

გ) ინსტიტუტმა ახალი სასწავლო პროგრამებით მოლეკულური და ქიმიური ბიოლოგიის, ნეირობიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, მიკრობიოლოგიის თეორიასა და პრაქტიკაში უნდა მოიზიდოს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები;

დ) ინსტიტუტი უნდა გადაიქცეს სერიოზულ საერთაშორისო ცენტრად მოლეკულური და ქიმიური ბიოლოგიის, ნეირობიოლოგიისა, ბიოტექნოლოგიის, მიკრობიოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაში, მოიზიდოს ერთობლივ კვლევებში უცხოელი კოლეგები და წამყვანი უნივერსიტეტები და სკოლები;

3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა;

ბ) ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვა;

გ) სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების საშუალებით კვლევათა შედეგების საჯარო აპრობაცია;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა პედაგოგთა და სტუდენტთა შემდგომი ინტეგრაციისათვის ევროპულ და მსოფლიო კულტურულ სივრცეში;

ე) მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დანერგვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად.

4. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ნეირობიოლოგიის ძირითადი პრობლემების კვლევა, ცხოველური უჯრედის წამყვანი რეგულაციური სისტემების მოლეკულურ-ბიოლოგიური და ბიოქიმიური დახასიათება პათოლოგიური პროცესების დროს, მიკროორგანიზმების გენომის კვლევა და ბიოტექნოლოგია.

ბ) განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

გ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევრები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის საბჭოს.

დ) ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის (დირექტორების) მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას.

ე) ინსტიტუტი წევრიანდება პროფილურ საერთაშორისო ორგანიზაციებში და აწარმოებს მათთან ერთობლივ პროგრამებსა და კვლევებს.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტს ჰყავს დირექტორი (დირექტორები) და პროფესორებისა და მკვლევრებისაგან შემდგარი ინსტიტუტის საბჭო.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი (დირექტორები) და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის საბჭო ინსტიტუტის დირექტორს (დირექტორებს) ირჩევს პირველივე სხდომაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის წევრების 2/3.

ინსტიტუტის საბჭო:

ა) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის (დირექტორებს) მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

ბ) ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის (დირექტორების) მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

დ) ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

ბ) აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;

გ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევრების და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

დ) ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო;

2. საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით;

3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

4. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს გადაწყვეტილების სახით.

მუხლი 6. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი;

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში;

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 8. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.